დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სს ფინური საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ქეთევან ბაცანკალაშვილი **წევრი:** ია ქურიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ <u>ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება</u>

გეგმიური

☒ **<u>არაგეგმიური</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ფინური საერთაშორისო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სააქციო საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 404557234

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საგურამო
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 47/57
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საგურამო, მე-7 ქუჩა, N7
საფოსტო ინდექსი	3311
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	fis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@fis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995 32 2 422000

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სს – ფინური საერთაშორისო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 15 იანვრის MES 2 24 0000024735 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	23 და 24 იანვარი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალი ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
უცხოურ ენაზე განხორციელებული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (ფინური კურიკულუმი)	დაწყებითი	ინგლისური ენა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ დაწესებულების 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული Polar Partners-ის ფინური საერთაშორისო სასწავლო გეგმა (PPFICG) მოქმედი იყო ფინურ სააგენტოსთან "Polar Partners" 2019-2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულ ან სხვა ფინურ საგანმანთლებლო ორგანიზაციასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება. **აღნიშნულის გათვალისწინებით, მეორე სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი - ვერ შეფასდა.**

<u>აღსანიშნავია, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს.</u>

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 18 დეკემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განცხადებით მიმართა საქართველოს მოქალაქემ. განცხადებში საუბარია იმაზე, რომ 2023 წლის 31 მაისს სს ფინურ საერთაშორისო სკოლას მშობელმა გადაუხადა 2023-2024 სასწავლო წლის (მე-6 კლასი) სწავლის საფასური. ამავე წლის 23 ივნისს კი აცნობა სკოლის ადმინისტრაციას, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოსწავლე აღარ გააგრძელებდა სწავლას ფინურ სკოლაში. მშობლის გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოლა აღარ აპირებდა მე-7 კლასში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას. განმცხადებლის ინფორმაციით, სკოლას დადებული ჰქონდა პირობა, რომ აპირებდა მაღალი კლასების დამატებას.

განაცხადებიდან ირკვევა, რომ სკოლა წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას მშობელს დაჰპირდა 2023 წლის აგვისტოს თვიდან 9 თვის განმავლობაში, მოგვიანებით კი ნოემბრის თვიდან ყოველთვიურად 2000 (ორი ათასი) ლარის დაბრუნებით, რაც არ განუხორციელებია.

2023 წლის 21 დეკემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განცხადებით ასევე მიმართა ოთხმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2023 წლის მაისში სს ფინური საერთაშორისო სკოლის ვებ გვერდზე ნახეს განცხადება თბილისში ახალი ფილიალის გახსნის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ მშობლებს სურდათ თავიანთი შვილების ჩარიცხვა თბილისის საერთაშორისო ლიცენზირებულ სკოლაში ინგლისურ ენაზე სწავლებით. განმცხადებლები აფიქსირებენ, რომ მათი შვილები 2023 წლის 14 ივნისს მიიწვიეს გასაუბრებაზე ფინური სკოლის ე.წ. ,,თბილისის განყოფილებაში'' მისაღებად, გასაუბრებისთვის კი თითოეულმა ოჯახმა გადაიხადა 450 ლარი. განმცხადებლები აფიქსირებენ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ ცოტა ხნის შემდეგ მიიღეს თბილისის განყოფილებაში თავიანთი შვილების მიღების დადასტურება და გადაიხადეს მათი განათლების საფასური, ნაწილმა ივნისის, ხოლო ნაწილმა ივლისის თვეში.

განცხადებაში ასევე საუბარია, რომ სკოლის ადმინისტრაციამ განმცხადებლებს შეატყობინა სკოლის თბილისის ფილიალში სწავლის დაწყების პირველი დღის თარიღი - 2023 წლის 4 სექტემბერი - თუმცა არ შეატყობინა მისამართი. ადმინისტრაცია დაჰპირდა მშობლებს, რომ მოგვიანებით გაუგზავნიდა ინფორმაციას მისამართის შესახებ, რადგან ახალ შენობაში რემონტი ტარდებოდა. აგვისტოს ბოლოს კი ცნობილი გახდა, რომ შენობა მდებარეობდა აღმაშენებლის გამზირზე, ვარდების ბაღში. 25 აგვისტოს მშობლებმა მიიღეს წერილი, რომლითაც ეცნობათ, რომ სწავლა 4 სექტემბრიდან გადაიდო 18 სექტემბრამდე, რადგან ვერ ესწრებოდა რემონტის დასრულება.

განცხადების თანახმად, 2023 წლის 18 სექტემბერს ე.წ. ,,თბილისის ფილიალში'' სასწავლო პროცესი დაიწყო შენობაში, რომელიც გაჟღენთილი იყო თამბაქოს სუნით, გაურემონტებელ ორსართულიან შენობაში, ვარდების ბაღში, საზოგადოებრივი ტუალეტის გვერდით, და გაგრძელდა 2 ოქტომბრამდე.

2 ოქტომბერს სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებს აცნობა, რომ თბილისის ფილიალი იხურებოდა, რადგან იჯარით აღებული შენობის ლიცენზირება შეუძლებელი იყო და შესთავაზა საგურამოს ფილიალში სწავლის გაგრძელება ან სკოლიდან ბავშვების გადაყვანა და აღუთქვა თანხის სრული მოცულობით უკან დაბრუნება. განცხადების თანახმად, 2 ოქტომბრიდან 6 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესი თბილისის ფილიალში არ მიმდინარეობდა და მხოლოდ ძიძა მეთვალყურეობდა ბავშვებს.

როგორც მშობლებისთვის ცნობილი გახდა, ფინური განათლების სააგენტო SISU-მ სკოლას ლიცენზია 2023 წლის აგვისტოს დასაწყისში შეუწყვიტა და საერთაშორისო პროგრამასთან სკოლას არანაირი კავშირი აღარ ჰქონდა.

მშობლებს სკოლასთან ჰქონდათ არაერთი კომუნიკაცია გადახდილი თანხების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ისინი განცხადებაში აფიქსირებენ, თანხის დაბრუნების სავარაუდო პერიოდი სკოლის მხრიდან მუდმივად იცვლებოდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბოლოოდ ადმინისტრაციამ მშობლებს გაუგზავნა შეტყობინება, რომ მათ თანხას დაუბრუნებდა ნაწილ-ნაწილ 2024 წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტული თარიღები და თანხის მოცულობა არ დასახელებულა.

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ ხუთივე განმცხადებელმა ნამდვილად გადაიხადა განცხადებაში მითითებული თანხები და სკოლის მხრიდან თანხის უკან დაბრუნება არ განხორციელებულა, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა ერთიანი თანხა უკან დასაბრუნებლად; მშობლები კი ითხოვდნენ ერთიანად თანხის უკან დაბრუნებას.

გარდა ამისა, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას 2020 წელს ავტორიზაცია გავლილი აქვს მისამართზე: ქ. თბილისი, ხახულის ქ.N8, ხოლო 2022 წელს სკოლამ განახორციელა ფართის ცვლილების წარმოება და მთლიანად გადავიდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ საგურამოში, მე-7 ქუჩა, N7. როგორც დგინდება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წელს სკოლას არ გაუკეთებია მორიგი განაცხადი ფართის ცვლილებასთან (თბილისის ფილიალი - ვარდების ბაღის მიმდებარე ფართთან მიმართებით) დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და განმცხადებლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სს ფინური საერთაშორისო სკოლა მოსწავლეთა ნაწილისთვის სასწავლო პროცესს 2023 წლის 18 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ნამდვილად ახორციელებდა თბილისში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ვარდების ბაღში არსებულ შენობაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს. მშობლებთან ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ შეთავაზებაში ასევე ფიგურირებდა, რომ სკოლა მომსახურებას სთავაზობდა ორ მისამართზე: საგურამოში და თბილისში.

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 33^2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ,,კერძო სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(არსებობის შემთხვევაში).'' ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, კერძო სკოლის მიერ ამ მუხლის მე-3-მე-6 პუნქტების შეუსრულებლობა მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველია.''

სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ინგლისურ ენაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფინეთის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის ზოგადი განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 2019 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას მინიჭებული აქვს ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლებში სკოლა თანამშრომლობდა ფინურ საგანმანათლებლო სააგენტო "Polar Partners"-თან, ხოლო 2022 წლის 8 თებერვლიდან 2023 წლის აგვისტოს თვემდე თანამშრომლობდა ფინურ სააგენტო "SISU"-თან, ვიდრე თავად სააგენტომ არ შეწყვიტა სკოლასთან თანამშრომლობა (იხ. "SISU"-ს წარმომადგენლის მიერ განათლების სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილი). ქვეყნებს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ოფიციალური მხარდაჭერის წერილი ფინეთის შესაბამისი ორგანიზაციისგან / სააგენტოსგან, რაც დაადასტურებს მის შესაბამისობას ფინურ მოდელთან / სტანდარტებთან. როგორც მონიტორინგის დროს დადგინდა, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას, მიმდინარე სასწავლო წლისათვის, არ აქვს მოპოვებული არცერთი ფინური საგანმანათლებლო სააგენტოს მხარდაჭერის წერილი სასკოლო კურიკულუმის ფინური მოდელის/სტანდარტების შესაბამისად განხორციელების თაობაზე.

<u>აღსანიშნავია, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს.</u>

<u>გარდა ამისა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა განახლებული ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც 2024 წელს გაუმჯობესდა სკოლის ფინანსური მდგომარეობა და დაგეგმილი შემოსავლები აჭარბებს ხარჯვით ნაწილს. სკოლამ დაგეგმა 2024 წელი ფინანსური თვალსაზრისით, სადაც გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ხარჯი, მათ შორის საჩივრის ავტორებისთის თანხის დაბრუნების საკითხი. დაწესებულება აღნიშნავს, რომ ნაწილი თანხისა უკვე დაბრუნებულია, ხოლო დარჩენილი თანხის დაბრუნების ვადად შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია 2024 წლის 24 აპრილი.</u>

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
120	**70**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.1 **პერსონალის მართვა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 **პერსონალის განვითარება**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 **პროცესების მართვა**	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 **ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 **მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 **საინფორმაციო რესურსები**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.7 **ფინანსური რესურსები**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 **მოსწავლეთა უფლებების დაცვა**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 **მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა რაოდენობა: _____	☐	
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი *N4.1.2.2*	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;*	*სკოლა არ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც გამოიხატება იმით, რომ სკოლას არ აქვს გამოცემული ყველა მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანებები.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.03.2024 წლამდე) უზრუნველყოს დასაქმებულთა პირად საქმეში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება.*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2024 წლამდე) უზრუნველყოს:* 1. *საგნების მასწავლებლების მიერ ყველა იმ საგნის სწავლების უფლების მოპოვება, რომელსაც ასწავლიან.* 2. *ყველა მასწავლებელთან სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.*
ინდიკატორი N3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2024 წლამდე) უზრუნველყოს თანამშრომელთა შეფასება, საჭიროებების გამოვლენა და აღნიშნულის საფუძველზე პერსონალის განვითარების აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.*
ინდიკატორი N3.3.1.1	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.05.2024 წლამდე) უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესის დანერგვა ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებისა და პარტნიორული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2024 წლამდე) უზრუნველყოს:* *1. დამატებითი კამერების მონტაჟი.* *2. სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა.*
ინდიკატორი N3.4.1.7	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.04.2024 წლამდე) უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენება.*
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2024 წლამდე) მოაწყოს ადაპტირებული საპირფარეშო.*
ინდიკატორი N3.5.1.5	*სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (01.07.2024 წლამდე) სკოლა აღჭურვოს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით, პარტნიორული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.*
ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2024 წლამდე) უზრუნველყოს საგანმანათლებლო მომსახურების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	*ხელშეკრულებების აღრიცხვა საქმისწარმოების ჟურნალში.*
ინდიკატორი N3.6.2.2	*სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2024 წლამდე) დანერგოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.*
ინდიკატორი N3.7.1.2	*სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (24.04.2024 წლამდე) უზრუნველყოს მშობლებისთვის თანხების სრულად დაბრუნება.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ვებ გვერდზე გამოქვეყნების შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი N1.2.1.2	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესავალში აღწერილი გეგმის დამტკიცების პროცედურები დააკონკრეტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.*
სტანდარტი N3	***სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა***	***რჩევა***
ინდიკატორი N3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;*	*სკოლას მიეცა რჩევა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დოკუმენტაციის ჩამონათვალთან.*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა, მოიპოვოს სამინისტროს ნებართვა ქართველი მასწავლებლების მიერ იმ საგნების სწავლებსათან დაკავშირებითაც, რომლის სწავლების უფლებაც არ უდასტურდებათ.*
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სკოლას მეიცა რჩევა, გადაიხედოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი და მასში მოყვანილი თანამდებობრივი პოზიციები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობები, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სკოლის საშტატო განრიგთან და დებულებასთან. ასევე, ყველა სართულზე თვალსაჩინოდ გამოიკრას ამავე დოკუმენტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და ასევე, გამაფრთხილებელი ნიშნები თამბაქოს მოხმარების აკრძალვასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირის თაობაზე.*
ინდიკატორი N3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	*სკოლას მიეცა რჩევა:* 1. *უზრუნველყოს ჩანაწერის გასწორება პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		დოკუმენტში მატერიალური ჟურნალის წარმოებისას პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, ვინაიდან სკოლაში იწარმოება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალი. 2. *არასრულწლოვანთა ინტერესის გათვალისწინებით, სკოლამ უზრუნველყოს თანხმობის მოპოვება ყველა იმ პერსონალურ მონაცემზე, რომელიც ფაქტობრივად მუშავდება სკოლაში.*
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	*სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს პრივატულობის დაცვა და კარების დამონტაჟება გასახდელ სივრცეებზე, შესაბამისი ნიშანდებით.*
ინდიკატორი N3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*სკოლას მიეცა რჩევა, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში დეტალურად გაწეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების პირობები.*
ინდიკატორი N3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*	*სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ვებ–გვერდზე ინფორმაციის განახლება.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.1.1.2	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;*	*სკოლას მიეცა რჩევა სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაზიარება უზრუნველყოს ვებ–გვერდზე განთავსებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N4.1.2.3	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	*სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ვებ-გვერდზე ასახოს სრულყოფილი ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურებისათვის დადგენილი სრული საფასურების და შიდა მარეგულირებელი წესების შესახებ.*
ინდიკატორი N4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;*	*სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს რემედიაციის განხორციელების მარეგულირებელი წესი*
ინდიკატორი N4.2.4.1	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).*	*სკოლას მიეცა რჩევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის 523 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების'' შესაბამისად, კვების ობიექტის შემოწმება განახორციელოს საამისოდ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით და აწარმოოს პირობების შემოწმების აქტები.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ***წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*** *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ გადმოგზავნილი შესაბამისობის გეგმა და თანმხლები დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში მითითებული რჩევების უმრავლესობა. ექსპერტები იაზიარებენ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით:

ინდიკატორი N1.2.2.3 - სრულად დაკმაყოფილდა - სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში.

ინდიკატორი N3.1.1.1 - სრულად დაკმაყოფილდა - სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, სკოლის სტრუქტურული სქემა, დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ერთმანეთთან და სკოლაში ფაქტობრივად მოქმედ თანამდებობებთან.

ინდიკატორი N3.1.1.2 - სრულად დაკმაყოფილდა - სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, სკოლის სტრუქტურული სქემა, დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ერთმანეთთან და სკოლაში ფაქტობრივად მოქმედ თანამდებობებთან; ასევე, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი ოქმები, განხილული საკითხები და სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.1.2.3 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მითითებულია 18.02.2024 - 18.03.2024 პერიოდი თანამშრომელთა მიერ ცნობების წარდგენის უზრუნველსაყოფად. სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტაცია მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის განხორციელების შესახებ. აღნიშნული ასევე დასტურდება პორტალზე: www.teacherjobs.ge

ინდიკატორი N3.1.2.4 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში -</u> არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 22.02.2024 - 01.09.2024 პერიოდი. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაგზავნილი აქვს წერილი, რომლითაც ითხოვს სკოლაში დასაქმებული უცხოელი მასწავლებლების (როგორც მოწვეული მასწავლებლების) მიერ 9 საათზე მეტი დატვირთვით სწავლების უფლებას. ასევე, დაწესებულება ამ პერიოდში გეგმავს ყველა ხელშეკრულების გადახედვას და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.
სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამდგენი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი.
რაც ეხება სპეციალურ მასწავლებელს, სკოლა განმარტავს, რომ აღნიშნული პირი დასაქმებულია, როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და არა როგორც სპეციალური მასწავლებელი, შესაბამისად მასზე ვერ გავრცელდება ზოგადი განათლების შესახებ კანონის 21-ე მე-3 პრიმა მუხლის მოთხოვნები.

ინდიკატორი N3.1.2.5 - <u>სრულად დაკმაყოფილდა</u> - სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი ოქმები, განხილული საკითხები და სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი N3.2.1.2 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 15.06.2024 - 01.09.2024 პერიოდი. განსაზღვრულ ვადაში სკოლამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა შეფასება, საჭიროებების გამოვლენა და აღნიშნულის საფუძველზე პერსონალის განვითარების აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი N3.3.1.1 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად გაწერილია 01.03.2024 - 01.05.2024 პერიოდი. სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესის დანერგვა ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებისა და პარტნიორული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორი - N3.4.1.1 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 30.06.2024 - 31.12.2024 პერიოდი. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, სკოლამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი კამერების მონტაჟი.
არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების წერილი.

არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, რომელის მიხედვითაც ობიექტი არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 30.06.2024 - 31.12.2024 პერიოდი. სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უნდა უზრუნველყოს სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ინდიკატორი N3.4.1.5 - <u>სრულად დაკმაყოფილდა</u> - არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულება აღნიშნავს, რომ ცალკე აწარმოებს პერსონალური მონაცემების დამუშავების თანხმობის ფორმებს როგორც პერსონალის, ისე მოსწავლეებისათვის. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა მიერ ხელმოწერილი თანხმობის ფორმები, პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ინდიკატორი N3.4.1.7 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 23.02.2024 - 30.04.2024 პერიოდი. სკოლამ ასევე წარმოადგინა შემუშავებული კითხვარი "სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების" მიზნით. სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენება.

ინდიკატორი N3.5.1.3 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 30.06.2024 - 01.09.2024 პერიოდი. სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადაში უნდა მოაწყოს ადაპტირებული საპირფარეშო.

ინდიკატორი N3.5.1.5 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად გაწერილია 01.03.2024 - 01.07.2024 პერიოდი. დაწესებულებამ, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში, სკოლა უნდა აღჭურვოს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით, პარტნიორული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორი N3.6.2.1 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 01.04.2024 - 01.09.2024 პერიოდი. სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებების აღრიცხვა საქმისწარმოების ჟურნალში.

ინდიკატორი N3.6.2.2 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 22.02.2024 - 01.09.2024 პერიოდი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვის მიზნით.

ინდიკატორი N3.6.3.2 - <u>სრულად დაკმაყოფილდა</u> - სკოლის არგუმენტირებული პოზიციის შესწავლითა და ვებ გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ ინფორმაცია ვებ გვერდზე განახლებულია.

ინდიკატორი N3.6.3.3 - <u>სრულად დაკმაყოფილდა</u> - სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მშობლებთან მიმოწერა და მათგან მიღებული უკუკავშირი.

ინდიკატორი N3.6.3.5 - <u>სრულად დაკმაყოფილდა</u> - სკოლის არგუმენტირებული პოზიციის შესწავლითა და ვებ გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ ინფორმაცია ვებ გვერდზე განახლებულია და ასახულია სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.7.1.1 - <u>სრულად დაკმაყოფილდა</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა განახლებული ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც 2024 წელს გაუმჯობესდა სკოლის ფინანსური მდგომარეობა და დაგეგმილი შემოსავლები აჭარბებს ხარჯვით ნაწილს.

ინდიკატორი N3.7.1.2 - <u>გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა განახლებული ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც 2024 წელს გაუმჯობესდა სკოლის ფინანსური მდგომარეობა და დაგეგმილი შემოსავლები აჭარბებს ხარჯვით ნაწილს. სკოლამ დაგეგმა 2024 წელი ფინანსური თვალსაზრისით, სადაც გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ხარჯი, მათ შორის საჩივრის ავტორებისთის თანხის დაბრუნების საკითხი. დაწესებულება აღნიშნავს, რომ ნაწილი თანხისა უკვე დაბრუნებულია, ხოლო დარჩენილი თანხის დაბრუნების ვადად, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია 2024 წლის 24 აპრილი.

ინდიკატორი N4.1.1.3 - <u>სრულად დაკმაყოფილდა</u> - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ყველა იმ მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, ვინც ამჟამად ირიცხება სკოლაში.

ინდიკატორი N4.1.2.4 - <u>სრულად დაკმაყოფილდა -</u> სკოლის არგუმენტირებული პოზიციის შესწავლითა და ვებ გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ ინფორმაცია ვებ გვერდზე განახლებულია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სს ფინური საერთაშორისო სკოლის მისიას წარმოადგენს აქტიური მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც მარტივად შეძლებენ XXI საუკუნის გამოწვევებთან გამკლავებას, სწრაფადცვალებად გარემოსთან ადაპტირებას, წარმატებით საქმიანობასა და შემდგომ თვითგანვითარებას.

აღნიშნული მისიის მისაღწევად, ფინური საერთაშორისო სკოლა მიზნად ისახავს იმგვარი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ჰოლისტურ განვითარებას. სასწავლო პროცესი მოსწავლეებს დაეხმარება არა მარტო აკადემიური ცოდნის შეძენაში, არამედ იმგვარი გამჭოლი უნარებისა და კომპეტენციების დაუფლებაში, რაც მათ XXI საუკუნეში პიროვნული და პროფესიული წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

სკოლის მიზანია, მოსწავლეებს დაეხმაროს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობითი უნარებისა და თვითმყოფადობის განვითარებაში. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებასთან ერთად, სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოსწავლეებში სამეწარმეო აზროვნებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბება.

ამგვარი მიდგომა მოსწავლეებს დაეხმარება თავიანთი ცოდნა და უნარები რეალურ სამყაროს დაუკავშირონ და დაინახონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თავიანთი როლი მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებთან მიმართებაში. აღნიშნული მიზნების მიღწევას სკოლაში არსებული პოზიტიური და თავისუფალი სასწავლო გარემო, ხარისხიანი სასწავლო მასალა და სკოლაში არსებული სწორი ურთიერთდამოკიდებულებები უწყობს ხელს.

სს ფინური საერთაშორისო სკოლის ხედვა:

სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები მზად იქნებიან ჩართული იყვნენ უწყვეტი სწავლის პროცესში და წარმატებით გაართვან თავი შრომის ბაზრის გამოწვევებს, ექნებათ ის ცოდნა, უნარები და კომპეტენცია, რომლებიც დასჭირდებათ, რათა მიაღწიონ წარმატებებს განათლების შემდგომ ეტაპსა და კარიერაში. შეძლებენ საკუთარი ძლიერი მხარეების ამოცნობას და მათ ოპტიმალურ გამოყენებას ცხოვრების მომდევნო ეტაპზე. სასწავლო პროცესში ფოკუსი მსოფლიო მოქალაქეობასა და მდგრადი განვითარების მიზნებზე მოსწავლეებს დაეხმარება თავიანთი როლის დანახვაში საერთაშორისო კონტექსტში და იმის გაცნობიერებაში, რომ მათ მსოფლიოს განვითარებაში თავიანთი, თუნდაც პატარა, წვლილი უნდა შეიტანონ. აღნიშნული მიზნის მიღწევა სკოლაში, გამჭოლი კომპეტენციების განვითარებით მიიღწევა. აკადემიურ ცოდნასთან ერთად, გამჭოლი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების განვითარება, PPFIGG-ს (*Polar Partners Finnish International Curriculum Georgia – პოლარ პარტნერსის ფინური საერთაშორისო სასწავლო გეგმა – საქართველო. აღნიშნული განმარტება დაწესებულების ხედვაში ჩამატებულია ექსპერტების მიერ)* განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს, რაც მოსწავლეების წარმატების უპირობო საწინდარია.

სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში მეწარმეობის უნარის და აზროვნების განვითარებას. აგრეთვე, უახლესი ტექნოლოგიების შესწავლას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას თანამედროვე გარემოში უკეთ ინტეგრაციისა და მეტი წარმატების მისაღწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სს ფინური საერთაშორისო სკოლის ღირებულებები:

დაწესებულების 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლის სამუშაო სრულად ეფუძნება და შეესაბამება Polar Partners-ის ფინურ საერთაშორისო სასწავლო გეგმაში (PPFICG) წარმოდგენილ ღირებულებებსა და პრინციპებს. ეს ღირებულებებია:

- თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და ხარისხიანი განათლების მიღების უფლება;
- კაცობრიობა, ზოგადი განათლება და უნარები, თანასწორობა და დემოკრატია;
- კულტურული მრავალფეროვნება, როგორც სიმდიდრე;
- ცხოვრების მდგრადი გზის აუცილებლობა

სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის განმარტებული თითოეული ღირებულება.

სს ფინური საერთაშორისო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესწავლით დგინდება, რომ ისინი შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა 21-ე საუკუნისათვის შესაფერისი უნარებითა და ცოდნით აღჭურვას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ დაწესებულების 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული Polar Partners-ის ფინური საერთაშორისო სასწავლო გეგმა (PPFICG) მოქმედი იყო ფინურ სააგენტოსთან "Polar Partners" 2019-2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულ ან სხვა ფინურ საგანმანთლებლო ორგანიზაციასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლის მიერ გაცხადებულ მისიაში აღნიშნულია, რომ ფინური საერთაშორისო სკოლა მიზნად ისახავს იმგვარი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ჰოლისტურ განვითარებას. ხედვისა და ღირებულებების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებისათვის პრიორიტეტულია მოსწავლეზე ორიენტირებული აკადემიური და სოციო-კულტურული სივრცის შექმნა. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით – **აღნიშნული ინდიკატორის შეფასება არ არის შესაძლებელი,** ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ფინური მოდელის მიხედვით მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არ იგულისხმება. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ფინურ მხარესთან შეთანხმებითა და თანამშრომლობის საფუძველზე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრულია პროგრამის განმახორციელებელი პირებისგან – ფინეთის ლიცენზირებული/სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ, რომელსაც სკოლა იზიარებს და მის დეკლარირებას ახდენს სასკოლო სასწავლო გეგმაში. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არ არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ამ პროცესში მონაწილეობის სტრატეგიები. **<u>ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>**
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; დაწესებულების წარმომადგენლებს – პედაგოგებსა და პერსონალს – გააზრებული აქვთ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, იმ პროფესიული ტრენინგების, სემინარების და სამუშაო შეხვედრების შედეგად, რაც სკოლაში ფინურ სააგენტოებთან თანამშრომლობის დროს ხორციელდებოდა. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს (მოსწავლის ჩარიცხვამდე) ეცნობებათ მათ. გაზიარების შედეგად სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული შესაძლებლობა გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დამოკიდებულება შეთავაზებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების მიმართ. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სს ფინური საერთაშორისო სკოლის მისია, ხედვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ღირებულებები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულებას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, თუმცა ვიზიტის დროს ვებ-გვერდზე არ იყო გამოქვეყნებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ვებ გვერდზე გამოქვეყნების შესახებ.

შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს – **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სს ფინური სკოლის 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. ფინურ სააგენტო "Polar Partners"-თან გაფორმებული ხელშეკრულება (2019-2021 წლები);
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
4. სკოლის ვებ გვერდი: fis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სს ფინურმა საერთაშორისო სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს გრძელვადიანი პერსპექტივით ორგანიზაციული განვითარების მიმართულებათა დადგენას, არსებული რესურსების იდენტიფიცირებასა და გარემომცველი ფაქტორების გათვალისწინებას. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ეფუძნება არსებული გარემოს შესწავლას, საგანმანათლებლო სივრცის მოსაწყობად საჭირო საერთაშორისო სტანდარტებსა და ბაზრის კვლევის შედეგთა ანალიზს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ყველა აუცილებელი პროცესი და პროცედურა როგორც სკოლის მართვის, ასევე მისი სტრატეგიული განვითარების უზრუნველსაყოფად. სკოლა იყენებს კოლაბორაციული ანუ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით მიმდინარე დაგეგმვის მეთოდს; ხოლო სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით, ახორციელებს მოსწავლეების, აკადემიური პერსონალის, მშობლების გამოკითხვას და მოთხოვნა-მიწოდების დადგენას, საბაზრო ფასის გარკვევას, საზოგადოებრივი აზრის შესწავლას და იმიჯის/ცნობადობის განსაზღვრას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სს საერთაშორისო ფინურმა სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლისათვის პრიორიტეტულ 7 მიზანს. სტრატეგიული გეგმის შესავალი ნაწილის აღწერილობის მიხედვით, მიზნები შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცდა სკოლის აქციონერთა კრებაზე (აღნიშნული პროცედურები არ არის დაკონკრეტებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში). სს ფინური საერთაშორისო სკოლის სტრატეგიული მიზნებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; საერთაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება. შვიდწლიან გეგმაში განსაზღვრულია მიზნების შესაბამისი ამოცანები და შესრულების პერიოდები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესავალში აღწერილი გეგმის დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები დააკონკრეტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.
შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა.

3. დაწესებულების სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და SWOT ანალიზს, რომლის საფუძველზეც გამოვლენილია სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები; წლის ბოლოს ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანალიზი, ასევე შესრულებული საქმიანობების შეფასება. მიღებული შედეგების გათვალისწინება ხდება მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
4. სს საერთაშორისო ფინური სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდა სკოლის საჭიროებების შესაბამისად. იგი ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების შერჩევას/განსაზღვრას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. სამოქმედო გეგმაში ასევე წარმოდგენილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და აქტივობის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სს ფინური სკოლის 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
4. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.2 სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
   სს ფინური საერთაშორისო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს მონიტორინგი: თვითშეფასების, უკუკავშირისა და შიდა/გარე აუდიტის მეშვეობით. შიდა აუდიტს ატარებს სკოლის მენეჯერი და მის ფარგლებში მოწმდება გეგმის შესრულების პროცესი. თვითშეფასებისა და შემაჯამებელი ანგარიშები განსახილველად წარედგინება დირექტორს, რომელიც სკოლის მენეჯერთან ერთად ქმნის შემაჯამებელ დოკუმენტს. შემაჯამებელ ანგარიშში ასახულია ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია: რა ღონისძიებები განხორციელდა და რა მიზნებია მიღწეული დაგეგმილ პერიოდში; რისი განხორციელება არ მოხდა წინასწარ დაგეგმილ ვადაში და რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოვლინდა; რა ზეგავლენას მოახდენს ნაწილობრივ შესრულებული ქმედებები მთლიან მიზნებისა და ამოცანებზე; რომელი სტრატეგიული ინიციატივა უნდა გადამოწმდეს მომდევნო წლისთვის. შემაჯამებელი ანგარიშით მოცემულ ცვლილებათა საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული გეგმა. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც შემუშავებულია სკოლის დირექტორის მიერ. ანგარიშში წარმოდგენელია სხვადასხვა სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განხორციელებული სამუშაოები, ასევე ასახულია ის აქტივობები, რომლებიც ვერ შესრულდა გარკვეული გარემოებების გამო. ვინაიდან, დირექტორის შემაჯამებელი დოკუმენტი ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების წევრების შემაჯამებელ ანგარიშებსა და ანალიზს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
3. ვიზიტის დროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა არ დადასტურდა.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის; გასული სასწავლო წლის შეფასებებსა და ანგარიშზე დაყრდნობით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2030 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. სს ფინური საერთაშორისო სკოლის დირექტორის ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
4. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შესახება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის სტრუქტურა მოიცავს აქციონერთა კრებას, დირექტორს, აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს და მასწავლებელთა საბჭოს. აქციონერთა კრების კომპეტენცია გაწერილია სკოლის სადამფუძნებლო დოკუმენტში (წესდება), სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და სკოლის დებულებაში, ხოლო მასწავლებელთა საბჭოს უფლებამოსილებები გაწერილია მასწავლებელთა საბჭოსა და სკოლის დებულებაში. სკოლის ადმინისტრაციაში გაერთიანებულია სკოლის დირექტორი, სკოლის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში, დირექტორის ასისტენტი, ფინანსური მენეჯერი, აკადემიური და ხარისხის მიმართულების მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და იურისტი.

სკოლამ ასევე წარმოადგინა, გრაფიკული სტრუქტურა, თუმცა ვიზიტის დროს მასში არ იყო ასახული დებულებაში გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამდებობრივი პოზიცია. კერძოდ, სქემაში სტრუქტურულ ერთეულად არ იყო ასახული მასწავლებელთა საბჭო და საერთო კრება. ადმინისტრაციულ დარგში დირექტორის მოადგილის ფუნქციებში დებულებით განსაზღვრული იყო საქმისწარმოებასთან და დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულება, ხოლო საქმისწარმოების წესით აღნიშნული ფუნქცია დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციულ ასისტენტს.

მასწავლებელთა საბჭოს დებულებაში გაწერილი დებულებები არ იყო თანხვედრაში სკოლის დებულებით გაწერილ მასწავლებელთა საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებთან. სკოლის დებულება განსაზღვრავდა, რომ დირექტორი ვალდებული იყო დაესახა სკოლის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და წარედგინა დირექტორისთვის დასამტკიცებლად; ასევე, მოხსენიებული იყო აღმასრულებელი დირექტორი, პრინციპალი/ვიცე პრინციპალი, პერსონალური ასისტენტი, საზაფხულო სკოლის კოორდინატორი, დაცვა/უსაფართხოების თანამშრომელი, თუმცა აღნიშნულ პოზიციებს არ ითვალისწინებდა სკოლის სტრუქტურა. დირექტორის უფლებამოსილებებში განსაზღვრული იყო მოსწავლის საშუალო საფეხურიდან გარიცხვა, თუმცა სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მხოლოდ დაწყებით საფეხურზე. მასწავლებელთა საბჭოს დებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრული იყო პრინციპალი. დებულების თანახმად, მძღოლი უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად უზრუნველყოფდა სკოლის ტრანსპორტის მარშრუტების დადგენასა და მოსწავლეთა გადაადგილებას, თუმცა აღნიშნულ დებულებაში არ იყო გაწერილი უსაფრთხოების მენეჯერის ფუნქციები, ხოლო უსაფრთხოების თანამშრომლის ფუნქციები არ ითვალისწინებდა მსგავს მოვალეობებს.

შესაბამისად, დადგინდა, რომ ვიზიტის ეტაპზე, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული. თუმცა <u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, სკოლის სტრუქტურული სქემა, დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ერთმანეთთან და სკოლაში ფაქტობრივად მოქმედ თანამდებობებთან.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას;**

ვინაიდან ვიზიტის დროს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული, სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მაგალითად, მასწავლებელთა საბჭოს დებულებით განსაზღვრულია, რომ მასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარის პორტფოლიო უნდა მოიცავდეს მასწავლებელთა საბჭოს სამოქმედო გეგმას, მასწავლებელთა საბჭოს დებულებას და მასწავლებელთა საბჭოს შეხვედრის ამსახველ ოქმებს, თუმცა სკოლამ, ვიზიტის პერიოდში, ვერ წარმოადგინა მასწავლებელთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, სკოლის სტრუქტურული სქემა, დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ერთმანეთთან და სკოლაში ფაქტობრივად მოქმედ თანამდებობებთან; ასევე, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი ოქმები, განხილული საკითხები და სამოქმედო გეგმა.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დებულება;
2. მასწავლებელთა საბჭოს დებულება;
3. გრაფიკული სტრუქტურა;
4. შრომითი ხელშეკრულებები;
5. საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, სკოლაში თანამშრომლის მიღების, შრომითი პირობების, ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხები, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს სამოქმედო პრინციპებს, კვალიფიციური კადრების მოზიდვის, შერჩევის, პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების პროცესებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებია: სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება; ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების ეფექტურად განხორციელება; დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა.

   სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დოკუმენტაციის ჩამონათვალთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შენიშვნა:</u> არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

   ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით სკოლაში პერსონალის შერჩევის გეგმარების პროცესის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს: მოცემულ მომენტში ორგანიზაციაში წარმოქმნილი საკადრო დეფიციტი; ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობა; პერსონალის შეფასების შედეგები.

   სკოლის მიერ დადგენილი შიდა რეგულაციით სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, დირექტორი უფლებამოსილია მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებლები დაასაქმოს სკოლაში კონკურსის გარეშე.

   ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულთან კონსულტირების შედეგად განსაზღვრავს არსებული ვაკანსიის შევსების ფორმას.**<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

   ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სკოლის შინაგანაწესით სს ფინურ საერთაშორისო სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომლის მიღების წესი. თანამშრომლის მიღებას სკოლა ახორციელებს კონკურსის გზით ან დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე, ხოლო მასწავლებლის მიღება ხორციელდება შიდა ან ღია კონკურსით. სკოლას დამტკიცებული აქვს კონკურსის წესი, რომელიც აყალიბებს კონკურსის პრინციპებს: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, კოლეგიურობა და კორექტულობა. კონკურსის წესით განსაზღვრულია მისი გამოცხადების წესი, ეტაპები, კომისიის დაკომპლექტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

   ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ასევე გაწერილია, რომ სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად, ხოლო ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის შესაბამისად ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებ-გვერდზე - www.pedagogi.ge/ www.teacherjobs.ge -ზე ვაკანსიის განთავსებით, თუმცა **სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა კონკურსის წესით განსაზღვრული პროცედურით მასწავლებლის შერჩევის დამადასტურებელი საკონკურსო მასალა. გარდა ამისა, პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ არცერთი თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 18.02.2024 - 18.03.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხარვეზი აღმოფხვრას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტაცია მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის განხორციელების შესახებ. აღნიშნული ასევე დასტურდება პორტალზე: www.teacherjobs.ge</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**
ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას, რომლის თანახმადაც სკოლაში დასაქმებული იყო 35 თანამშრომელი, მათგან 10 მასწავლებლის პოზიციაზე, 3 მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე და 1 სპეციალური მასწავლებელი. ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე დასაქმებული იყო დირექტორი, დირექტორის მოადგილე რისკების შეფასების დარგში, ადმინისტრაციის ასისტენტი, ფსიქოლოგი, ადმინისტრაციული მენეჯერი, დირექტორის თანაშემწე, ადამიანური რესურსების მენეჯერი, დიასახლისი, დამლაგებელი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, იურისტი, მძღოლი, IT სპეციალისტი, მზარეული (ჰასპის ლიდერი), შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (რომელსაც შეთავსებული აქვს ჰასპის ლიდერის პოზიცია), ექთანი. სკოლის შინაგანაწესში გაწერილი იყო დასაქმებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ იყო შესაბამისობაში ზოგადი განათლების შესახებ კანონის 21-ე მე-3 პრიმა მუხლის მოთხოვნებთან. კერძოდ, სკოლის საათობრივი ბადით და მასწავლებელთა დატვირთვით დადგინდა, რომ მასწავლებლები ასწავლიან საგნებს სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით. საათობრივი ბადით გათვალისწინებული საგნების მასწავლებლებს არ აქვთ ყველა იმ საგნის სწავლების უფლება, რომელსაც ასწავლიან, ვინაიდან მათ არ უდასტურდებათ კვალიფიკაცია ყველა საგნობრივი მიმართულებით. ამასთან, საგნების მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა აღემატება 9 საათს.

მასწავლებელთა ნაწილთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სტატუსების მიხედვით, როგორც ამას ითხოვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მე-11 პირველი პრიმა მუხლის 1-ლი პუნქტი. რაც შეეხება სპეციალურ მასწავლებელს, მას არ აქვს ზოგადი განათლების შესახებ კანონის 21-ე მე-3 პრიმა მუხლით გათვალისწინებული არცერთი კვალიფიკაცია და არ აქვს ჩაბარებული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა. მათ შორის, სპეციალურ მასწავლებელთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება არცერთი სტატუსის მიხედვით ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მე-11 პირველი პრიმა მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად.

ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამდგენი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, შესაბამისად, ვერ დადგინდა სკოლაში დასაქმებული პირები (გარდა მასწავლებლებისა) აკმაყოფილებდნენ თუ არა სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 22.02.2024 - 01.09.2024 პერიოდი. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაგზავნილი აქვს წერილი, რომლითაც ითხოვს სკოლაში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დასაქმებული უცხოელი მასწავლებლების (როგორც მოწვეული მასწავლებლების) მიერ 9 საათზე მეტი დატვირთვით სწავლების უფლებას. ასევე, დაწესებულება ამ პერიოდში გეგმავს ყველა ხელშეკრულების გადახედვას და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხარვეზი აღმოფხვრას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.</u>

<u>სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამდგენი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი.</u>

<u>რაც ეხება სპეციალურ მასწავლებელს, სკოლა განმარტავს, რომ აღნიშნული პირი დასაქმებულია, როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და არა როგორც სპეციალური მასწავლებელი, შესაბამისად მასზე ვერ გავრცელდება ზოგადი განათლების შესახებ კანონის 21-ე მე-3 პრიმა მუხლის მოთხოვნები.</u>

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, მოიპოვოს სამინისტროს ნებართვა ქართველი მასწავლებლების მიერ იმ საგნების სწავლებსათან დაკავშირებითაც, რომლის სწავლების უფლებაც არ უდასტურდებათ.

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მუშაობენ გუნდურად და ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს. სკოლის კოლეგიურ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგეს მასწავლებელთა საბჭო, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მისი ფუნქციონირებისა და გუნდური მუშაობის ამსახველი სხდომის ოქმები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მათი სამუშაო დატვირთვა არ იძლევა ერთობლივად მუშაობისა და საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის საშუალებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თუმცა მათ აქვთ ასეთი პრაქტიკა გასულ წლებში სკოლაში მუშაობის დროს. ინტერვიუს დროს, მხოლოდ ქართული ენის მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ ისინი ერთობლივად გეგმავენ საგაკვეთილო პროცესს საერთო თემის ეფექტურად სწავლების მიზნით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და კონკურსის წესი ითვალისწინებს კონკურსის დროს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, თუმცა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის მიერ კოლეგიურობისა და გუნდურობის პრინციპით მიღებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი ოქმები, განხილული საკითხები და სამოქმედო გეგმა.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი;**

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლის უფლებამოსილებას დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
წახალისების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.
სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დასაქმებულთა მოტივაციის უზრუნველყოფა. თანამშრომელთა წახალისებით სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა მიღწევების დადებითად შეფასებას და აღიარებას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. მასწავლებლის კონკურსის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; კერძოდ, სს ფინური საერთაშორისო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების წესი. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული დოკუმენტის მიზანია, ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით სკოლაში შექმნილი იქნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ–ჩვევები. აღნიშნული პროცესის ნაწილია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება.

   სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა ემყარება შემდეგ მიზნებს:
   - ➔ მოახდინოს სკოლის პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი გამოსწორების გზების დასახვა;
   - ➔ გამოავლინოს სკოლის პერსონალის შესაბამისი შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას;
   - ➔ შეაფასოს სკოლის პერსონალის საქმიანობა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში;
   - ➔ დროულად მოახდინოს აშკარა სირთულეების იდენტიფიცირება სკოლის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში და დასახოს მისი მოგვარების გზები;
   - ➔ სკოლის მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მოხდეს კვალიფიცირებული პერსონალის საჭიროების გამოვლენა.

   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად
   – აღნიშნული ინდიკატორის შესრულება ვერ დადასტურდა ვიზიტის დროს, ან დაწესებულების მიერ მოწოდებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტებზე დაყრდნობით; როგორც 3.2.1.1 ინდიკატორშია აღწერილი, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის საჭიროებების შეფასებისა და გამოვლენის მექანიზმი, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა.

გარდა ამისა, ვინაიდან დაწესებულებას არ უდასტურდება ფინურ საგანმანათლებლო სააგენტოსთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება, ეჭვ ქვეშ დგება პედაგოგების პროფესიული განვითარების საკითხი ფინურ კურიკულუმთან მიმართებით.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 15.06.2024 - 01.09.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს თანამშრომელთა შეფასება, საჭიროებების გამოვლენა და აღნიშნულის საფუძველზე პერსონალის განვითარების აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; კერძოდ, სს ფინური საერთაშორისო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა დაწინაურების, წახალისების, გადაყვანის, დაქვეითების და გათავისუფლების საფუძველი. შეფასების შედეგების შესაბამისად განისაზღვრება თანამშრომლის შემდგომი წახალისების ფორმები, მათ შორის დაწინაურება - კარიერული წინსვლა. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის პროცედურის დოკუმენტში ასახულია ისეთი პუნქტები, როგორებიცაა: ახალმიღებული თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის მნიშვნელობა, ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის ფაზები, სამუშაო პოზიციაზე დაბრუნება დროებითი დაწინაურებისა ან მოვალეობის შემსრულებლის პოზიციიდან ან კოლეგა მასწავლებლის ჩანაცვლებისას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამუშაოზე ადაპტაცია, ადაპტაციის პროცესში მონაწილე მხარეები და მათი როლები, ადაპტაციის პროცესების ამსახველი ცხრილები და უკუკავშირის ფორმები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სს ფინური საერთაშორისო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის პერსონალის მიერ დაყენებული ინიციატივისა და თხოვნის საფუძველზე, სკოლის დაფინანსებით მოეწყო ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობდა როგორც სკოლის აკადემიური პერსონალი, ასევე ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი. აღნიშნული ტრენინგების მიზანი იყო ორგანიზაციული და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სს ფინური საერთაშორისო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. პერსონალის ტრენინგების პროცესში შექმნილი თვალსაჩინოებები და სქემები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3 პროცესის მართვა

3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად – დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია 2021 წლის 3 ნოემბერს. აღნიშნულ მექანიზმში ინტეგრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამი დონე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ➔ შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს სკოლის თვითშეფასებას, თანამშრომელთა და მოსწავლეთა შედეგების შეფასებას.
- ➔ გარე ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც **ყოველწლიურად** ხორციელდება Polar Partners – ის მიერ, რათა მოხდეს ფინეთის საგანმანათლებლო პრინციპების თანხვედრა.
- ➔ ოფიციალური საერთაშორისო განათლების ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც მოიცავს ფინური სკოლის ოფიციალური აუდიტის ჩატარების მოთხოვნას ფინეთის საგანმანათლებლო ხელისუფლებისგან და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ყველა საგანმანათლებლო ნებართვის მიღებას.

ვინაიდან დაწესებულებას არ უდასტურდება ფინურ საგანმანათლებლო სააგენტოსთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება, ეჭვ ქვეშ დგება ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი თავად სკოლის მიერ გაწერილი წესის შესაბამისად.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად გაწერილია 01.03.2024 – 01.05.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესის დანერგვა ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებისა და პარტნიორული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.</u>**

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძირითადი და დამხმარე პროცესები; დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები:
დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მმართველობითი პროცესებია:

ა) სტრატეგიული დაგეგმვა;
ბ) წლიური დაგეგმვა;
გ) ხარისხის უზრუნველყოფა;

სკოლის ძირითადი პროცესებია:
ა) კურიკულუმის განვითარება;
ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

სკოლის დამხმარე პროცესებია
ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება;
ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება;
გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება;
დ) ფინანსური რესურსებს მართვა;
ე) ადამიანური რესურსების მართვა;
ვ) მატერიალური რესურსის მართვა;
ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;
თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
კ) კარიერული განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს როგორც პროცესების მარეგულირებელი წესები, ისე პროცესებზე პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურების ფუნქცია–მოვალეობები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სს ფინურმა საერთაშორისო სკოლამ წარმოადგინა განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა, რომელიც ეხება სკოლის მთელ საზოგადოებას – მოსწავლეებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სკოლის თანამშრომლებს. დოკუმენტში გაწერილია საჩივრის პროცედურა და ვადები, განხილვის წესი და განხილვის შესაძლო შედეგები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში დასაქმებულების სამუშაო პირობებს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს. სკოლის დებულება კი განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. შინაგანაწესში ასევე ასახულია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან ურთიერთობა და შიდა კონტროლის წესი, რაც კიდევ უფრო დეტალურად არის გაწერილი მშობელთან ურთიერთობის დებულებაში. პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა ასევე მოიაზრება მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სს ფინური საერთაშორისო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის დებულება;
5. განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
6. გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**
   სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელშიც გაწერილია საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარების, ინფორმაციის მიწოდებისა და უკუკავშირის დამყარების მექანიზმები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზად სკოლა იყენებს ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს, სკოლის ადმინისტრაციასთან პირდაპირი კავშირის დამყარების საშუალებას. მათ შორის, მშობელთან კომუნიკაციის საშუალებები, ფორმები და პერიოდულობა გაწერილია როგორც სკოლის შინაგანაწესის 36-ე მუხლში, ასევე მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებაში. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი იძლევა სკოლასთან კომუნიკაციის დამყარებისა და მოსაზრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაზიარებისა თუ უკუკავშირის მიცემის საშუალებას. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესით განსაზღვრულია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზის მექანიზმი, გამოვლენილი შედეგების საქმიანობის გასაუმჯობესებლად გამოყენების მიზნით. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა;**

   სკოლის კოლეგიურ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს სკოლის მასწავლებელთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებით. მასწავლებელთა საბჭოს საქმიანობა რეგულირდება დებულებით. მასწავლებელთა საბჭოში ყველა მასწავლებელს აქვს თანაბარი ხმის უფლება. მასწავლებელთა საბჭოს დებულება ითვალისწინებს საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესაძლებლობასაც, საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებელთა საბჭოს წევრ მასწავლებელს აქვს უფლება საბჭოს წინაშე დააყენოს ინიციატივები და განსახილველად წამოაყენოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების აკადემიური პერსონალის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღება ერთმანეთთან კომუნიკაციის გზით. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებელთა საბჭოს დებულება;
2. სკოლის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

   სკოლის ეზო შემოღობილია და შეზღუდულია გარეშე პირთა დაშვება. სკოლის ეზო კონტროლდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. ეზოში დამონტაჟებულია 7 ვიდეოკამერა, ხოლო შენობის შიდა პერიმეტრზე 9 ვიდეოკამერა. თუმცა ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, **დამატებით საჭიროა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი შენობის შიდა პერიმეტრზე კიბის უჯრედების გასაკონტროლებლად. ასევე, კამერების დამონტაჟება საჭიროა გარე პერიმეტრზე, შემოსასვლელი კარის სრული ხედვის მიზნით.**

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 30.06.2024 - 31.12.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი კამერების მონტაჟი.</u>

სკოლამ წარმოადგინა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება ფინური საერთაშორისო სკოლის შენობის ექსპლოატაციაში მიღების შესახებ, **რითაც დასტურდება, რომ სკოლის შენობა უსაფრთხო და მდგრადია.**

შენობის დაცვის მიზნით სკოლას დასაქმებული ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი. ასევე, შრომითი ურთიერთობით დასაქმებული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს რისკების შეფასებას და ადგენს პრევენციულ ღონისძიებებს.

სკოლაში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით. სკოლაში დასაქმებულია ექთანი. ვინაიდან ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილია 120 მოსწავლით და სკოლაში ამჟამად ირიცხება 70 მოსწავლე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია სკოლაში დასაქმებული იყოს ექიმი.

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში დაასაქმოს №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.
შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ექიმის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლამ წარმოადგინა 2019 წლის 6 დეკემბრის შიდა ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა ვიზიტის დროს აღნიშნული **გეგმა არ იყო შეთანხმებული** შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან.

<u>არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების წერილი.</u>

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. **თუმცა, ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.**

<u>არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, რომელის მიხედვითაც ობიექტი არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 30.06.2024 – 31.12.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**
   სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების შესაბამისად, სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი თუ რა ითვლება სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად და აღწერილია გასატარებელი რეაგირების მექანიზმები. სკოლას ასევე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები სკოლაში თამბაქოს მოხმარების კონტროლზე, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების წარმოებაზე. უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლაში დასაქმებულია უსაფრთხოების მენეჯერი და დაცვის თანამშრომლები. სკოლას მეიცა **რჩევა**, გადაიხედოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი და მასში დაფიქსირებული თანამდებობრივი პოზიციები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობები, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სკოლის საშტატო განრიგთან და დებულებასთან. ასევე, ყველა სართულზე თვალსაჩინოდ გამოიკრას ამავე დოკუმენტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და გამაფრთხილებელი ნიშნები თამბაქოს მოხმარების აკრძალვასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირის თაობაზე. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლას დასაქმებული ჰყავს ფსიქოლოგი და პირველ სართულზე მოწყობილია ფსიქოლოგის ოთახი. ასევე, დამტკიცებული აქვს ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები, რომელშიც გაწერილია დოკუმენტის შექმნის მიზნები, რეგულაციის სფერო, მომსახურების რესურსი, ფსიქოლოგის მუშაობის საფუძვლები, პრინციპები და მოვალეობები. ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ფსიქოლოგის ჩართულობას წესრიგის მართვის პროცესებში და მისი როგორც მედიატორის როლს. გარდა ამისა, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა შორის არსებული კონფლიქტების მოგვარების ეფექტურ გზას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

   სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად სკოლაში დასაქმებული ჰყავს დამლაგებლები, აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით. საპირფარეშოები მარაგდება წყლით და აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით. სკოლამ წარმოადგინა სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ ,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'' - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ რეკომენდაციას (გაიდლაინს) და ადგენს სანიტარიისა და ჰიგიენის უზრუნველყოფისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. სკოლაში ჰიგიენის კონტროლი ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლას გააჩნია სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგება, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისათვის. სკოლაში დასაქმებული ექთანი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლს. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

   სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით შემუშავებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები''. დოკუმენტში გაწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები, მონაცემთა სუბიექტები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. პერსონალური მონაცემების დამუშავების მონიტორინგს ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საამისოდ ბრძანებით განსაზღვრული პირი. შენობასა და ეზოში გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები იმისა, რომ მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი. დოკუმენტში გაწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავება მატერიალური ჟურნალის წარმოებისას, ხოლო სკოლა აწარმოებს მხოლოდ ელექტრონულ ჟურნალს.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს მატერიალური ჟურნალის წარმოებისას პერსონალური მონაცემების დამუშავების დებულების თაობაზე ჩანაწერის გასწორება.

შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის დაკორექტირებული მექანიზმები.

ვიზიტის დროს, თანამშრომელთა და მოსწავლეთა ხელშეკრულებების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლას მოპოვებული არ ჰქონდა თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, მაშინ როდესაც სკოლა ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს.

<u>არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულება აღნიშნავს, რომ ცალკე აწარმოებს პერსონალური მონაცემების დამუშავების თანხმობის ფორმებს როგორც პერსონალის, ისე მოსწავლეებისათვის. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა მიერ ხელმოწერილი თანხმობის ფორმები, პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.</u>

რჩევა: არასრულწლოვანთა ინტერესის გათვალისწინებით, სკოლამ უზრუნველყოს თანხმობის მოპოვება ყველა იმ პერსონალურ მონაცემზე, რომელიც ფაქტობრივად მუშავდება სკოლაში.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის საშუალებით. აკრძალულია მომხმარებლის სახელისა და პაროლის სხვისთვის გამჟღავნება/სარგებლობაში გადაცემა. სკოლის თანამშრომლები და მომსახურების ხელშეკრულებით დაკავშირებული პირები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. კერძოდ, ისინი ხელშეკრულებასთან ერთად ხელს აწერენ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუთქმელობისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ხელწერილს. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის;**

,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის 33-ე მუხლით სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ძალადობის რისკების შეფასება სკოლაში ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ანონიმური კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით პრობლემის იდენტიფიცირების შემთხვევაში აუცილებელია დაიგეგმოს მისი გადაჭრის გზები და სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. თუმცა, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ ვერ წარმოადგინა დადასტურება იმისა, რომ ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენება.

<u>არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 23.02.2024 - 30.04.2024 პერიოდი. სკოლამ ასევე წარმოადგინა შემუშავებული კითხვარი "სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შეფასების" მიზნით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენება.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
2. ინფორმაციის დაცვის მექანიზმის მარეგულირებელი ხელწერილის ფორმა;
3. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება ფინური საერთაშორისო სკოლის შენობის ექსპლოატაციაში მიღების შესახებ;
4. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ხელშეკრულება, სერტიფიკატი და რისკების შეფასების დოკუმენტი;
5. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
6. ვიდეოკამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;
7. სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი;
8. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტი;
9. მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი;
10. პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის ბრძანებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

   სს ფინურ საერთაშორისო სკოლას იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 7 წლის ვადით აქვს გადაცემული მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ საგურამოში (მე-7 ქუჩა, N7) მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 72.06.05.085.017) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით 913 კვ.მ (მ/შ -I სართული 236.1 კვ.მ, I სართული 281.6 კვ.მ, II სართული 194.9 კვ.მ და III სართული - 201 კვ.მ). სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. თითოეულ სართულზე განთავსებულია 2 საკლასო ოთხი (ბუნებრივი განათებით). შენობაში განთავსებულია ადმინისტრაციის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, კვების ბლოკი, ფსიქოლოგის ოთახი, ქართული ენის კაბინეტი, ოთახი კლუბური მეცადინეობებისთვის, სამეურნეო სათავსოები, სპორტული დარბაზი (გასახდელებით) და საპირფარეშოები. სკოლის ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი.

   საპირფარეშოები განთავსებულია ყველა სართულზე და იდენტიფიცირებულია გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. გასახდელები განკუთვნილია გოგონებისა და ვაჟებისთვის და გამოყოფილია ტიხრით, თუმცა ვინაიდან შესასვლელი სივრცე არის საერთო, სკოლას მიეცა **რჩევა** უზრუნველყოს პრივატულობის დაცვა და კარების დამონტაჟება გასახდელ სივრცეებზე, შესაბამისი ნიშანდებით.

   საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია პროექტორები. საბიბლიოთეკო სივრცე იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა აქტივობებისთვის და ღონისძიებებისთვის. სკოლის ბალანსზე ირიცხება სპორტული ინვენტარი სპორტული აქტივობების განსახორციელებლად. სკოლას ბალანსზე ერიცხება 120 ერთეული მოსწავლის მერხი და სკამი. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

   სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესითა და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. აქტივობებისა და ღონისძიებების ჩატარებისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია კომპიუტერული ტექნიკის, პროექტორებისა და ეკრანები გამოყენება. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, წიგნების გაცემის წესი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები რაც არეგულირებს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობას. საბიბლიოთეკო რესურსები დამუშავებულია Open Biblio-ს ელექტრონულ პროგრამაში. ფსიქოლოგის ოთახში განთავსებულია საჭირო რესურსები სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს ლიფტი, რომლითაც უზრუნველყოფილია სასკოლო რესურსების სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომობა.

   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

   სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი. საკლასო ოთახები, საკლუბო მუშაობის სივრცე, ქართული ენის კაბინეტი, ფსიქოლოგის ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი განთავსებულია შენობის სხვადასხვა სართულზე, თუმცა შენობის სართულებზე გადასაადგილებლად დამონტაჟებულია ლიფტი, რომლითაც უზრუნველყოფილია შშმ პირების წვდომა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურასა და სასწავლო რესურსებთან.

   ვიზიტის დროს, შენობაში არ იყო მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი; შესაბამისად, სკოლა ვერ ქმნიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებისათვის ინკლუზიურ გარემოს.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 30.06.2024 - 01.09.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში მოაწყოს ადაპტირებული საპირფარეშო.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**
   სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას სკოლამ შეასრულოს სოციო-კულტურული სივრცის ფუნქცია. სკოლას აქვს დაცული ეზო და სპორტული მოედანი, რომელიც გამოიყენება აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის შენობაში არის ბიბლიოთეკა და საკლუბო აქტივობების ოთახი, რომელიც ასევე ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები;**
   სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, კერძოდ, პლანშეტები, კომპიუტერები, საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია პროექტორები და ეკრანები, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სავალდებულო გაკვეთილებისა და დამატებითი მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება. სკოლა სწავლებას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით/სასწავლო რესურსებით. სკოლას აქვს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებიც (მათ შორის, ელექტრონული) და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება. სკოლის წიგნადი ფონდი შედგება 1309 ერთეული წიგნისგან. მონიტორინგის ეტაპზე სკოლას არ გააჩნდა ფინური კურიკულუმის განხორციელების ლიცენზია ან/და ავტორიზაცია ქართული კურიკულუმის განხორციელების თაობაზე. შესაბამისად, ვერ დადგინდა, ჰქონდა თუ არა სკოლას კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად გაწერილია 01.03.2024 – 01.07.2024 პერიოდი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში სკოლა აღჭურვოს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით, პარტნიორული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (25.01.2024 წლის მდგომარეობით);
2. იჯარის ხელშეკრულება (გაფორმებული 19.12.2023);
3. მატერიალური რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
5. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ბალანსზე ირიცხება ვარგის მდგომარეობაში არსებული 12 კომპიუტერი, მათ შორის 1 პორტაბელური კომპიუტერი და 11 პერსონალური. სკოლას აქვს ''ეფლის'' ფირმის 9 პლანშეტი და 4 პროექტორი. კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს IT მენეჯერი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტი, რომლის მომსახურების ხელშეკრულებაც გაფორმებულია შპს ,,Georgianairlink''-თან. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერებითა და სკანერების აპარატებით. საკლასო ოთახები აღჭურვილია პროექტორებით და ეკრანებით და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;**

სკოლას გააჩნია საკმარისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოიყენება სასწავლო და ადმინისტრაციული მუშაობის პროცესში. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სკოლაში, როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, ლეპტოპები, პლანშეტები, პროექტორები, პრინტერები და სხვა).

სკოლას მიეცა **რჩევა**, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში დეტალურად გაწეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების პირობები.

შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
3. ხელშეკრულება ინტერნეტ მიმწოდებელთან.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**
   სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოების წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე). სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია დოკუმენტების სახეები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში წარმოებს შემდეგი ჟურნალები: საერთო და მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები; შემოსული და გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალები; შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. დოკუმენტბრუნვის პროცესზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული ასისტენტი.

ვიზიტის დროს, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შრომით ხელშეკრულებებზე არ იყო დასმული რეგისტრაციის ნომერი და არ იყო გატარებული რეგისტრაციაში საქმისწარმოების წესით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. ასევე, სარეგისტრაციო ნომერი არ ჰქონდა მინიჭებული საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 01.04.2024 – 01.09.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებების აღრიცხვა საქმისწარმოების ჟურნალში.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა eschool.emis.ge-ს ელექტრონული ბაზა, თუმცა სკოლას ვიზიტის ეტაპზე არ ჰქონდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა და დოკუმენტაციის წარმოება, აღრიცხვა, რეგისტრაციაში გატარება ხორციელდებოდა მხოლოდ მატერიალური სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 22.02.2024 – 01.09.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში დანერგოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**
   სკოლა სარგებლობს eschool.emis.ge-ს ელექტრონული პორტალით, რომელზეც განთავსებულია სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას სრულად აქვს ასახული აუცილებელი მონაცემები სკოლის ბარათზე. ბაზაში ასახულია სკოლის ცხრილი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან;**
   სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას განათლების სამინისტროსთან. კერძოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვების მოსაპოვებლად თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად, სკოლა მიმართავს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ან/და სამინისტროს. ამასთან, სკოლა ინფორმირებულია იმ საკითხების შესახებ, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან კომუნიკაციისა და შეთანხმების ვალდებულებას. სკოლამ წარმოადგინა წერილები, რომლითაც გარკვეული საკითხები შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, როგორიცაა საათობრივი ბადე, შეფასების სისტემა, სახელმძღვანელოების/სასწავლო რესურსების ნუსხა და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დებულება, რომელშიც გაწერილია მონიტორინგის განხორციელების პირობები და ანგარიშვალდებულება სამინისტროს წინაშე. ამ ეტაპზე სკოლას არ განუხორციელებია მსგავსი ანგარიშის წარდგენა, ვინაიდან სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. სარეგისტრაციო ჟურნალები;
3. შრომითი ხელშეკრულებები;
4. საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. სკოლის პროფილი eschool.emis.ge-ს პორტალზე.
6. ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი.

3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**
   სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, როგორებიცაა, სკოლის სახელით ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების განხორციელება, საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზება, სარეკლამო მასალების გავრცელება, სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური გვერდის მართვა და ინფორმაციის განახლება, მშობლების/მოსწავლეებისა და თანამშრომლები ინფორმირება და სხვა. სკოლას აქვს ვებ-გვერდი https://fis.ge/, ასევე ოფიციალური მეილები: info@fis.ge, admission@fis.ge, და ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/fisgeorgia, რომლებსაც იყენებს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გაზიარების ფუნქცია, ასევე მათი მეშვეობით შესაძლებელია კომუნიკაციის დამყარება და უკუკავშირის მიღება. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

   რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება.

   შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციისა და ვებ გვერდის შესწავლით დგინდება, რომ სკოლამ განაახლა ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.
   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

   საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, ვებ-გვერდის მართვას და ინფორმაციის განახლებას. ასევე, აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი. სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით დადგინდა, რომ მასზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. ვებ-გვერდზე ბლოკში ,,ჩვენ შესახებ'' განთავსებული იყო ინფორმაცია, რომ ფინური საერთაშორისო სკოლის კურიკულუმი შემუშავებულია ფინურ-ამერიკული საგანმანათლებლო ორგანიზაცია - ISS (International School Services) და SISU Schools-ის განათლების ექსპერტების მიერ და ამასთანავე სრულიად ესადაგება საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი ფინური კურიკულუმის ლიცენზიის არსებობისა და პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა არანაირი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა განათლების სფეროში რომელიმე ფინურ საგანმანათლებლო სააგენტოსთან თანამშრომლობას. შესაბამისად, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ იყო სანდო და უტყუარი.

   <u>სკოლის არგუმენტირებული პოზიციის შესწავლითა და ვებ გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ ინფორმაცია ვებ გვერდზე განახლებულია.</u>

   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

   სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში სკოლა ახორციელებს უკუკავშირის ანალიზს, რათა გამოვლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, მისიით დასახული მიზნების მისაღწევად, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესებს და წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცედურების მიზანია უზრუნველყოს სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მისი მუდმივი განვითარება, თუმცა სკოლამ ვერ წარმოდგინა საზოგადოებასთან სხვადასხვა არხით კომუნიკაციის პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და საქმიანობის გასაუმჯობესებლად გამოყენების დამადასტურებელი ვერანაირი მტკიცებულება. ვერ დადგინდა, თუ როგორ ხორციელდება სასკოლო საზოგადოებისგან დაფიქსირებულ საკითხებზე სკოლის რეაგირება, რომელიც მიმართული იქნებოდა საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მშობლებთან მიმოწერა და მათგან მიღებული უკუკავშირი.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**
   სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი https://fis.ge/, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე და ასევე ინგლისურ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია;

ვიზიტის დროს, სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით დადგინდა, რომ მასზე განთავსებული იყო გარკვეული ინფორმაცია სკოლის შესახებ, კერძოდ, ფინური განათლების მოდელის შესახებ, სკოლის შესახებ, მოსწავლის მიღების შესახებ, სიახლეების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, თუმცა არსებული ინფორმაცია იყო გასაახლებელი სკოლის პერსონალთან დაკავშირებით; ასევე, არ იყო განახლებული სიახლეები 2020 წლის შემდეგ. ვებ-გვერდზე, არ იყო განთავსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის 3.6.3.5 ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია, როგორიცაა: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

<u>სკოლის არგუმენტირებული პოზიციის შესწავლითა და ვებ გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ ინფორმაცია ვებ გვერდზე განახლებულია და ასახულია სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
3. სკოლის ვებ–გვერდი https://fis.ge/
4. სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/fisgeorgia
5. სკოლი ელექტრონული ფოსტა info@fis.ge, admission@fis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**
   ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტი 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, რომელშიც ასახული იყო დაგეგმილი შემოსავალი და ხარჯი 2023-2024 სასწავლო წლისთვის. ბიუჯეტის შესწავლით დადგინდა, რომ 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის სექტემბრამდე პერიოდზე დაგეგმილი ხარჯი აჭარბებდა შემოსავლით ნაწილს და სხვაობა შეადგენდა 136,720 ევროს დანაკლისს. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია ისეთი აქტივობები, რომელიც მოითხოვს ფინანსური ხარჯის გაწევას. შესაბამისად, სკოლას არ გააჩნდა ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად.

   <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა განახლებული ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც 2024 წელს გაუმჯობესდა სკოლის ფინანსური მდგომარეობა და დაგეგმილი შემოსავლები აჭარბებს ხარჯვით ნაწილს.</u>

   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>
2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა;**
   სკოლას ჰყავს ფინანსური მენეჯერი და მომსახურების ხელშეკრულებით დაქირავებული ბუღალტერი. სკოლამ წარმოადგინა ფინანსური ანალიზის შედეგები 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით. თუმცა, ვინაიდან ვიზიტის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დაგეგმილი იყო ისე, რომ აღემატებოდა შემოსავლით ნაწილს, არარენტაბელური იყო სკოლის ფინანსური რესურსების მართვის სისტემა დაგეგმვის, განკარგვის თუ მონიტორინგის ნაწილში. სკოლის წინააღმდეგ მიმართულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლას არ გააჩნდა ფინანსური სახსრები, საჩივრის ავტორებისათვის დაებრუნებინა თანხა, რომლის შესაბამისი მომსახურების გაწევაც არ განუხორციელებია.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა განახლებული ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც 2024 წელს გაუმჯობესდა სკოლის ფინანსური მდგომარეობა და დაგეგმილი შემოსავლები აჭარბებს ხარჯვით ნაწილს. სკოლამ დაგეგმა 2024 წელი ფინანსური თვალსაზრისით, სადაც გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ხარჯი, მათ შორის საჩივრის ავტორებისთვის თანხის დაბრუნების საკითხი. დაწესებულება აღნიშნავს, რომ ნაწილი თანხისა უკვე დაბრუნებულია, ხოლო დარჩენილი თანხის დაბრუნების ვადად, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია 2024 წლის 24 აპრილი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მშობლებისთვის თანხების სრულად დაბრუნება.</u>

<u>შენიშვნა:</u> დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი თანხის თუნდაც ნაწილობრივ დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. ფინანსური ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**
   სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვას ახორციელებს სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტების მეშვეობით, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, გასაჩივრების წესი, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტში გაწერილია მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი. ასევე შინაგანაწესში გაწერილია დისციპლინური გადაცდომის სახეები და რეაგირების პროცედურა, დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები.
   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>
2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**
   სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვის გამჭვირვალე მექანიზმებს და აღნიშნული წესები შემუშავებულია სკოლის ადმინისტრაციის და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ჩართული პირების მიერ. მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შესაბამისად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს აწვდის ინფორმაციას და აცნობს სასკოლო დოკუმენტებს. ასევე, თითოეული მოსწავლის მშობელი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს, რომელიც განთავსებულია სკოლის შენობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინფორმაციო დაფაზე, თუმცა სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლის შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაცია არ არის გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე.

სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>** სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაზიარება უზრუნველყოს ვებ-გვერდზე განთავსებით.

შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება;**

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხდება როგორც მატერიალური სახით და ხელმოწერით, ასევე ელექტრონულ ფოსტაზე ხელშეკრულების გაგზავნითა და მეორე მხარის მიერ ხელმოწერით დადასტურებით. საჩივრის ავტორმა ორმა მშობელმა განაცხადა, რომ მათთან სკოლას არ გაუფორმებია მომსახურების ხელშეკრულება, თუმცა გადაიხადეს სწავლის საფასური. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლიდან გამოთხოვილ იქნა მომსახურების თაობაზე საჩივრის ავტორ 5 მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ 3 მათგანთან გაფორმებული ხელშეკრულება და განმარტა, რომ დანარჩენ მშობლებთან ხელშეკრულებები გაგზავნილ იქნა ელექტრონულ ფოსტაზე ხელმოსაწერად, თუმცა ხელმოწერილი ხელშეკრულება მათთან მშობლებს არ დაუბრუნებიათ.

eschool.emis.ge-ს ბაზაში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 70 მოსწავლე. სკოლამ წარმოდგინა მხოლოდ 34 მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ყველა იმ მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, ვინც ამჟამად ირიცხება სკოლაში.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
3. ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
4. მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი;
5. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
6. პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
7. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მომსახურების გაწევის თაობაზე;
8. მოსწავლეთა სია eschoo.emis.ge-ს ბაზიდან.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

   სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, წესი თანაბრად ვრცელდება სკოლის ყველა მოსწავლესა და პოტენციურ მოსწავლეზე. წესში გაწერილია მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი და ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. მოსწავლის ჩარიცხვა მოხდება მოსწავლესთან და მის წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის საფუძველზე. აღნიშნული წესი ასევე არეგულირებს მოსწავლის მობილობის, სკოლიდან ამორიცხვის და კლასის/საფეხურის დაძლევის პროცედურებს. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმებს;

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა მოსწავლეთა ბრძანებების შესწავლა. დადგინდა, რომ სკოლა გამოსცემს ბრძანებებს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის დროს, სხვა სკოლიდან მოსწავლის მობილობით ჩარიცხვისა და მობილობით სხვა სკოლაში გადასვლისას ამორიცხვის თაობაზე, ასევე მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.

სკოლას არ ჰქონდა გამოცემული ბრძანებები საჩივარში მოხსენიებული ორი მოსწავლის არც ჩარიცხვის და არც ამორიცხვის თაობაზე, რაზეც სკოლამ განმარტა, რომ მათ არ წარმოუდგენიათ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტები, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ბავშვების სკოლაში ჩარიცხვა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ერთი ბავშვის მშობელთან, რომელიც სკოლაში ჩარიცხვის გარეშე 2 კვირის განმავლობაში იღებდა მომსახურებას ე.წ. ,,თბილისის ფილიალში'', უკვე გაფორმებული იყო ხელშეკრულება და სრულად ჰქონდა გადახდილი მომსახურების საფასური.

ერთი მოსწავლის მშობელთან არ მომხდარა არც ხელშეკრულების გაფორმება მომსახურების მიწოდების თაობაზე და არც მისი ჩარიცხვის ბრძანების გამოცემა, თუმცა მშობელს საფასური სრულად აქვს გადახდილი და 2 კვირის განმავლობაში იღებდა მომსახურებას ე.წ. ,,თბილისის ფილიალში''.

აღსანიშნავია, რომ სს ფინურ საერთაშორისო სკოლას 2020 წელს ავტორიზაცია გავლილი აქვს მისამართზე: ქ. თბილისი, ხახულის ქუჩა N8, ხოლო 2022 – ში სკოლამ განახორციელა ფართის ცვლილება და მთლიანად გადავიდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი საგურამო, მე-7 ქუჩა, N7. როგორც დგინდება, 2023 წელს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სკოლას არ გაუკეთებია განაცხადი ფართის მორიგ ცვლილებასთან – თბილისის ფილიალის (ვარდების ბაღის მიმდებარედ) დაარსებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, მოსწავლის ჩარიცხვა მოხდება მოსწავლესთან და მის წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის საფუძველზე, რაც სკოლამ დაარღვია და ჩარიცხვის გარეშე აწვდიდა მოსწავლეებს მომსახურებას 2 კვირის განმავლობაში ე.წ. ,,თბილისის ფილიალში''.

<u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**
სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებსა და მასზე რეაგირების მექანიზმებს. შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ფინური განათლების მოდელის შესახებ, სკოლისა და აკადემიური პერსონალის შესახებ, მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაციის, მიღებისა და საფასურის შესახებ. სკოლას მიეცა **რჩევა** სკოლის ვებ-გვერდზე ასახოს სრულყოფილი ინფორმაცია მომსახურებისათვის დადგენილი სრული საფასურების და შიდა მარეგულირებელი წესების შესახებ.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული;**
სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდას. სკოლას გაწერილი აქვს მთელი რიგი აქტივობები, რომელიც უნდა განახორციელოს ცნობადობის გარდისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმიანობის წარმოსაჩენად, მათ შორის: ზოგადი განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციისთვის ხელის შეწყობა, სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვა და ინფორმაციის მუდმივად განახლება, სარეკლამო მასალების გავრცელება, მშობლების/მოსწავლეების/თანამშრომლების/დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, გავრცელებული ინფორმაციის კონტროლი, რათა არ იყოს უტყუარი და შეცდომაში შემყვანი. თუმცა, როგორც დგინდება ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია აკადემიური პერსონალისა და სიახლეების შესახებ არ არის განახლებული, ასევე ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, რომ ფინური საერთაშორისო სკოლის კურიკულუმი შემუშავებულია ფინურ-ამერიკული საგანმანათლებლო ორგანიზაცია - ISS (International School Services) და SISU Schools-ის განათლების ექსპერტების მიერ და ამასთანავე სრულიად ესადაგება საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმას. თუმცა ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰქონდა ლიცენზია ფინური კურიკულუმის განხორციელების თაობაზე. შესაბამისად, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ იყო ზუსტი.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს.</u>

<u>სკოლის არგუმენტირებული პოზიციის შესწავლითა და ვებ გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ ინფორმაცია ვებ გვერდზე განახლებულია და არ არის შეცდომაში შემყვანი.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ბრძანებები;
2. ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები;
3. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
4. ვებ-გვერდი https://fis.ge/ka_GE/web/content?content_id=17.
5. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**
   სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის მარეგულირებელი წესი, რომელიც შემუშავებულია სკოლის სასწავლო პროცესისა და ფსიქოლოგთა რეკომენდაციების საფუძველზე. წესი მიზნად ისახავს მოსწავლეთა სკოლასთან მარტივად ადაპტაციას, ახალი მოსწავლის ინტეგრაციას სკოლის სოციალურ გარემოსთან, კულტურასა და ღირებულებებთან. ადაპტაციის პროცესში ჩართულები არიან სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და თანაკლასელები. დოკუმენტში გაწერილია ადაპტაციის ეტაპები. ასევე, ადაპტაციის ხელშესაწყობად სკოლას შემუშავებული აქვს რეკომენდაციები მშობლებისთვის.
   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>
2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**
   სკოლა მოსწავლის ადაპტაციაზე ზრუნვას იწყებს მოსწავლის სკოლაში მიღების მომენტიდან. ადაპტაციის პროცესში ჩართული პირების მთავარ როლს წარმოადგენს ახალ მოსწავლესთან რეგულარული კომუნიკაციის დამყარება, ძირითადი ინფორმაციისა და რესურსების მიწოდება, მისი დაკავშირება სკოლაში მომუშავე სხვა ადამიანებთან და სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურის გაცნობა. აღნიშნულ პროცესში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობელთან. ადაპტაციის პირველი ეტაპი მოიცავს ახალი მოსწავლის სკოლაში გამოცხადებამდე მოსამზადებელ პერიოდს, რაც გულისხმობს კლასის დამრიგებლის მიერ მოსწავლეებისა და კლასის პედაგოგებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ახალი მოსწავლის შესახებ, ადმინისტრაციის მხრიდან ექიმის ინფორმირებას ბავშვის შესახებ, და ინფრასტრუქტურის გაცნობას. პირველ სასწავლო დღეს სკოლის შესასვლელში კლასის დამრიგებელი ხვდება მოსწავლეს, რომელიც თვითონ მიაცილებს მოსწავლეს საკლასო ოთახამდე, გააცნობს თანაკლასელებს, მოუყვება დღის გეგმის (რეჟიმის) შესახებ, დაუსვამს კითხვას დამატებითი საჭიროებების ან ინფორმაციის შესახებ და სთხოვს საგაკვეთილო პროცესში ჩართვას. ვინაიდან დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას. სკოლას აქვს ექსტერნის გამოცდის ჩატარების პრაქტიკა, რომლის დროსაც, გამოცდების წინ სკოლა ახდენს მოსწავლეთა კონსულტირებას საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებით, რათა მოსწავლე იყოს ინფორმირებული საგამოცდო ტესტებისა და თემატიკის შესახებ. **სკოლა ახორციელებს რემედიაციას მოსწავლეებისთვის, რომლებიც საჭიროებენ აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად კონსულტირებას და დამატებით მეცადინეობას, თუმცა არ აქვს შემუშავებული ამ პროცესის მარეგულირებელი წესი.**

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს რემედიაციის განხორციელების მარეგულირებელი წესი.

შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**
   სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს და ღონისძიებების ჩატარებას. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სივრცეებს სასკოლო ღონისძიებების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სსსმ მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სს ფინურ საერთაშორისო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, რომლის მიზანია ზოგადი განათლების ფარგლებში სასკოლო ინტერესების გატარების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა, საერთაშორისო ასპარეზზე სკოლის პოპულარიზაცია, მოზარდ და ახალგაზრდა თაობაში საქართველოს შესახებ ცნობიერების გაზრდა, კულტურული, სამეცნიერო და შემოქმედებითი სწავლების ხელშეწყობა, ინფორმირებულობის გაზრდა, მოსწავლეთათვის საინტერესო თემების პოპულარიზაციაში ხელშეწყობა, აგრეთვე, ზემოაღნიშნული მიზნების საინფორმაციო მხარდაჭერა. დოკუმენტში წარმოდგენილია ინიციატივების წარდგენის ფორმა და მთავარი კრიტერიუმები.
   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>
5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**; დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს ჭადრაკის, ფრანგული ენის, საშინაო დავალების მომზადების კლუბებს, ასევე მიმდინარე წელს, დამატებითი არჩევითი მომსახურების სახით, სკოლაში შეთავაზებულია "Arts and Crafts" (ხელოვნების), English games, Emotional learning, Story-telling კლუბები. სკოლაში ფუნქციონირებს ფასიანი ცეკვის კლუბი და ინჟინერიის კლუბი. საკლუბო მუშაობის ფარგლებში მომსახურების გაწევა ხორციელდება კლუბის მასწავლებლების მიერ.
   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მშობლებთან და მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე ხორციელდება უკუკავშირის მიღება გაწეული სერვისების თაობაზე, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება მომსახურების გაუმჯობესება. **<u>ინდიკატორი</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის მარეგულირებელი წესი;
2. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;** სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს დაწყებით საფეხურზე. შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეთავაზების საჭიროება არ დგას. შესაბამისად, **<u>აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>**
2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ვინაიდან სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს დაწყებით საფეხურზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეთავაზების საჭიროება არ დგას და ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მშობელებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის მიწოდება არ ხდება. შესაბამისად, **<u>აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ვინაიდან დაწყებითი საფეხურის ფარგლებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეთავაზებას სკოლა არ ახორციელებს, ამ მიმართულებით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება არ ხდება. შესაბამისად, **<u>აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

.....

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეესთან მუშაობის მექანიზმი;**
   სკოლა ფლობს ინფორმაციას სსსმ მოსწავლეესთან მუშაობის მექანიზმების თაობაზე. სსსმ მოსწავლეესთან მუშაობის მექანიზმები სკოლას შემუშავებული აქვს როგორც ცალკე დოკუმენტის სახით, ასევე გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში ვიზიტის დროს არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ფლობენ ინფორმაციას ინკლუზიური განათლების შესახებ და მოსწავლის შეფასებისთვის და სწავლებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**
2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს;**
   ვიზიტის დროს სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებითა და სკოლასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა აცხადებს მზაობას სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და თანამშრომლობის პრინციპების დაცვით უზრუნველყოს მოსწავლისთვის ინკლუზიური განათლების მიწოდება. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სსსმ მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არსავალდებულო ხასიათის მომსახურებას კვებისა და ტრანსპორტირების სერვისის სახით. სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებით, სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 5 მძღოლთან და 5 ტრანსპორტის გამყოლთან. უსაფრთხო კვების მომსახურების ფარგლებში სკოლას დანერგილი აქვს ჰასპის სისტემა და მომსახურებას უწევს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰასპის ლიდერი.
სკოლა ასევე დამატებით მომსახურებას სთავაზობს კლუბების სახით. საკლუბო მუშაობის ფარგლებში მომსახურების გაწევა ხორციელდება კლუბის მასწავლებლების მიერ.
სკოლა ფლობს ინფორმაციას კვების ობიექტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ.

სკოლას მიეცა რჩევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის 523 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების'' შესაბამისად, კვების ობიექტის შემოწმება განახორციელოს საამისოდ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით და აწარმოოს პირობების შემოწმების აქტები.

შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**
   სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არსავალდებულო ხასიათის მომსახურებას კვებისა და ტრანსპორტირების სერვისის სახით, რომელსაც ახორციელებს დამატებითი საფასურის სანაცვლოდ მშობელთან შეთანხმებით. სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებით, სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 5 მძღოლთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კლუბების სახით მომსახურების ნაწილის შეთავაზება ხდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო ნაწილი ფასიანი კლუბების – დამატებითი შეთანხმების ფარგლებში.

დამატებითი მომსახურებების შეთავაზება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.**<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს;**

   სკოლა ფლობს ინფორმაციას დამატებითი სერვისების შეთავაზების შემთხვევაში ნებართვების მოპოვების ვალდებულების შესახებ და იცავს დადგენილ წესს, ხოლო იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რომელსაც არ სჭირდება თანხმობის მოპოვება, სკოლა მომსახურების გაწევისას იცავს უსაფრთხოების ზოგად ნორმებს და იცავს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები დამატებით სერვისებზე;
2. ჰასპის ლიდერის ხელშეკრულება და სერტიფიკატი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება.

სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ინგლისურ ენაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფინეთის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის ზოგადი განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 2019 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას მინიჭებული აქვს ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლებში სკოლა თანამშრომლობდა ფინურ საგანმანათლებლო სააგენტო "Polar Partners"-თან, ხოლო 2022 წლის 8 თებერვლიდან 2023 წლის აგვისტოს თვემდე თანამშრომლობდა ფინურ სააგენტო "SISU"-თან, ვიდრე თავად სააგენტომ არ შეწყვიტა სკოლასთან თანამშრომლობა (იხ. "SISU"-ს წარმომადგენლის მიერ განათლების სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილი). ქვეყნებს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ოფიციალური მხარდაჭერის წერილი ფინეთის შესაბამისი ორგანიზაციისგან/სააგენტოსგან, რაც დაადასტურებს მის შესაბამისობას ფინურ მოდელთან / სტანდარტებთან. როგორც მონიტორინგის დროს დადგინდა, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას, მიმდინარე სასწავლო წლისათვის, არ აქვს მოპოვებული არცერთი ფინური საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სააგენტოს მხარდაჭერის წერილი სასკოლო კურიკულუმის ფინური მოდელის/სტანდარტების შესაბამისად განხორციელების თაობაზე.

შენიშვნა: დაწესებულების 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული Polar Partners-ის ფინური საერთაშორისო სასწავლო გეგმა (PPFICG) მოქმედი იყო ფინურ სააგენტოსთან "Polar Partners" 2019-2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. **ვინაიდან ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულ ან სხვა ფინურ საგანმანთლებლო ორგანიზაციასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება, მეორე სტანდარტი – სასკოლო კურიკულუმი – ვერ შეფასდა.**

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finland" ორმხრივად ხელმოწერილი თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რომელშიც აღწერილია თანამშრომლობის ზოგადი განმარტებები და პირობები (General Terms and Conditions). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულება (Service Contract), რომელიც უზრუნველყოფს ფინური კურიკულუმის დანერგვას და ხარისხის კონტროლს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

01.03.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: